საქართველოს არქივები

საქართველოს ეროვნული არქივის II სამეცნიერო-
საინფორმაციო კონფერენცია

2026

თბილისის არქიტექტურის სამსახური

მაკა კვარაცხელია
თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორი

თბილისი მრავალფეროვანი არქიტექტურული სივრცეა. აქ საოცარი სილამაზით არის შერწყმული შუა საუკუნეების აღმოსავლური ქალაქის ელემენტები, რუსეთის იმპერიის პერიოდის განაშენიანება, საბჭოთა მოდერნიზმი, თანამედროვე მინისა და მეტალის არქიტექტურა. სწორედ ეს მრავალფეროვნება გვაძლევს თბილისის განუმეორებელ კოლორიტს, განსაკუთრებულ იერს.

რუსეთის იმპერიის პერიოდში (თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნის დღიდან), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში (1928 წლამდე) მშენებლობის/არქიტექტურის განყოფილება ქალაქის თვითმმართველობის სტრუქტურული ერთეული იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ქალაქის აღმასკომში შეიქმნა კომუნალური განყოფილება, რომელიც 1929 წელს არქიტექტურის განყოფილებად, მოგვიანებით სამსახურად, გადაკეთდა. 2018 წლიდან ქალაქის არქიტექტურის სამსახური თბილისის მერიის სსიპ გახდა.

არქიტექტურის განყოფილების/სამსახურის ფუნქციას ქალაქის კეთილმოწყობა, განაშენიანება წარმოადგენდა. თბილისის მოსახლეობის ვალდებულება იყო სამშენებლო სამუშაოების ქალაქის მთავრობასთან წინასწარი შეთანხმება. თუმცა, თბილისი ყოველთვის განიცდიდა საცხოვრებელი ფართის ნაკლებობას. მუდმივად მზარდი მოსახლეობა ყველა საშუალებით ცდილობდა საცხოვრებელი პირობების შექმნას: აგებდა მიწურებს, ბარაკებს, ახდენდა არსებულ ფართზე უკანონო მიშენებას, დაშენებას. ქალაქის მთავრობა ყოველთვის ებრძოდა ამ პროცესს, მაგრამ, ხშირად, უშედეგოდ. ასეთი ფაქტების თვალნათელი მაგალითია 1905-1907 წლებში მოსახლეობის მიერ დიდუბის და „ნახალოვკის“ ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობები.

ეს ტენდეცია, შეიძლება ითქვას, გრძელდება. თანამედროვე რეალობაშიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჭირო გახდა სპეციალური კომისიის შექმნა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, კომისიამ ფუნქციონირება დაიწყო 2007 წლიდან და დღემდე ახდენს თბილისში თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების, აგებული შენობების საკითხების შესწავლას და მიზანშეწონილობის შემთხვევაში საკუთრების აღიარებას.

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური პასუხისმგებელია თბილისის განაშენიანების, თბილისის იერსახის შექმნაზე. თბილისის ცენტრალურ არქივში დაცული 1921-2011 წლის 75 672 ერთეული შესანახი დოკუმენტი, სერიოზული საფუძველია შევაჯამოთ თბილისის არქიტექტურის ისტორია, დედაქალაქში მიმდინარე სამშენებლო პროცესები, პრიორიტეტები. დღეს, დიდი ყურადღება ექცევა თბილისის ძველი უბნების და შენობების რეაბილიტაციის პროცესს, ვინაიდან თბილისში აქტუალურ პრობლემად რჩება ისტორიული განაშენიანების

დაცვა და ძველი უბნების ავთენტურობის შენარჩუნება. ამ პროცესის და გაწეული სამუშაოს თვალნათელ სურათს გვაძლევს თბილისის განვითარების ფონდში დაცული დოკუმენტები. თბილისის არქიტექტურა არ არის მხოლოდ შენობათა ერთობლიობა - ის არის ქალაქის ისტორიის, კულტურისა და საზოგადოებრივი განვითარების თვალსაჩინო მატიანე.

მადათოვის კუნძული თბილისის ურბანულ ლანდშაფტში: ბუნებრივი სივრციდან - მრავალფუნქციურ ურბანულ გარემომდე

თამთა შონვაძე

სამეცნიერო განყოფილების მთავარი სპეციალისტი

მოხსენება შეეხება თბილისის ურბანული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესს — მადათოვის კუნძულის ტრანსფორმაციას. ისტორიული წყაროებისა და საარქივო მასალების ანალიზი აჩვენებს, თუ როგორ გარდაიქმნა მტკვრის კალაპოტში არსებული ბუნებრივი ლანდშაფტი რეგულარული ქალაქგეგმარების ნაწილად. კუნძულის ფუნქციური დატვირთვა იცვლებოდა მისი მფლობელების საქმიანობის ცვლილებებთან ერთად, რაც აისახა კიდეც მის ტოპონიმებში („ახალი ბაღის“, „ორბელიანებისა“, „მადათოვის“ კუნძული).

XIX საუკუნიდან მადათოვზე ერთდროულად ვითარდებოდა სამეურნეო (თუთის ბაღები), სამრეწველო (მირზოევის სახერხი ქარხანა), კომერციული (დუქნები) და გასართობი (ფიურერის ცირკი) სივრცეები. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული გენერალური გეგმა ადასტურებს კუნძულის მკაცრ ურბანულ ჩარჩოში მოქცევის მცდელობას, რაც სწორხაზოვანი ქუჩებისა და კვარტალური განაშენიანების ფორმირებით გამოიხატა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კუნძულის ეკოლოგიურ და ტექნოლოგიურ პოტენციალს — საზოგადოებრივ ბაღად გადაქცევის პროექტსა და ელექტროსადგურის მშენებლობის გეგმას, რაც ურბანული მოდერნიზაციის ჭრილში განიხილება.

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში მტკვრის გარკვეული ნაწილის ამოვსების შედეგად კუნძულმა გეოგრაფიული ავტონომია დაკარგა, მან შეინარჩუნა ურბანული მნიშვნელობა. დღევანდელი „დედაენის ბაღისა“ და „მშრალი ხიდის“ ტერიტორია მადათოვის კუნძულის ისტორიული მემკვიდრეობის პირდაპირი გაგრძელებაა, რაც ნათლად ასახავს ბუნებრივი გარემოსა და არქიტექტურის ორგანულ თანაარსებობას თბილისის თანამედროვე ლანდშაფტში.

„მიქელ-გაბრიელისეული“ ცისარტყელა
(ერთი თემის ისტორია არქივში დაცული მასალების მიხედვით)

ირმა ჯაყელი
გურიის რეგიონული არქივის დირექტორი

მოხსენებაში მიმოვიხილავ გურიის არქივში დაცულ დღემდე გამოუქვეყნებელ მასალას „მიქელ-გაბრიელის“ (დღეს სოფელი „შრომა“) შესახებ. ამ დოკუმენტების მიხედვით წარმოდგენილი იქნება სოფლის რეკონსტრუირებული ისტორია: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევა-ძიება, არქეოლოგიური გათხრები და იქ მოპოვებული არტეფაქტები, საზოგადოებრივი ცხოვრება, წეს-ჩვეულებები, გურული კაცის სიმღერა (,,კრიმანჭული'' - სულის ამოძახილი), სოფლის წვლილი განათლებასა და კულტურაში, ეპოქების გზაჯვარედინზე მომხდარი კატაკლიზმების შედეგები (რევოლუციები, პოლიტიკური ცვლილებები ...), ხელოვნებისა და ლიტერატურის მსახურები და ა. შ.
საპრეზენტაციო და მიმოხილვითი ნაწილის გარდა საინტერესო იქნება კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, რომლებიც ძირითადი მასალის ექსკლუზიურობიდან გამომდინარე ახალი იქნება როგორც კონკრეტული სოფლით, ისე დასავლეთ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

ცნობილი სახეები და მათი ისტორიები
(მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ არქივში დაცული ფოტოდოკუმენტების მიხედვით)

მანანა ლომიძე
მცხეთა-მთიანეთის რეგიონული არქივის დირექტორი

ფოტომასალა ხშირად ესთეტიკური და მემორიალური დატვირთვის გარდა ისტორიული წყაროს ფუნქციასაც ითავსებს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ არქივში საკმაოდ მდიდარი ფოტომასალაა დაცული: ფოტოები დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექციიდან, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა პორტრეტები, ამა თუ იმ წყალსაცავის გახსნის ფოტოქრონიკა, სახალხო დღესასწაულები და ა. შ.

ჩემი მოხსენების თემა დუშეთის რეგიონულ არქივში დაცული ფოტოებით მოთხრობილი ისტორიებია (კონკრეტული ადამიანების თუ მოვლენების), ფოტოები, რომლებიც ისტორიულ ფაქტებს, თუ ეპოქის სოციალურ და კულტურულ კონტექსტს ასახავს.

მიმოხილული იქნება როგორც ცალკეული ალბომები, ისე სხვადასხვა ფონდში ამა თუ იმ მიზეზით მოთავსებული ფოტოები.

კიდევ ერთხელ „სულიკოს“ ისტორიის შესახებ

ეკატერინე სანიკიძე
კინოფოტოფონოდოკუმენტების
ც/არქივის ფონოგანყოფილების უფროსი

2025 წელს სიმღერა „სულიკოს” შესრულების ტრადიციას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

არც ერთ ქართულ სიმღერას არ ხვდომია წილად ისეთი დიდი აღიარება და სიყვარული, როგორიც შესანიშნავ „სულიკოს“. იგი ქალაქური ფოლკლორის ნაწილია, ქალაქური ტიპის ქართული სიმღერა, რომელსაც არ გააჩნია არც ევროპული კილო, არც აღმოსავლური გავლენა. როგორც ცნობილია, მისი ავტორი - ბარბარე მაჭავარიანი-წერეთლისა, გენერალ სპირიდონ მაჭავარიანის ოჯახში დაიბადა. მუსიკალური განათლება ცნობილი ბარიტონის - ფილიმონ ქორიძის მეუღლესთან ზინაიდა ვორობეცთან მიიღო.

ბარბარე (ვარინკა) მაჭავარიანის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, იმართებოდა ხელოვნების საღამოები. ხშირად ოჯახის სტუმარი სიმღერების სიყვარულითაც კარგად ცნობილი აკაკი წერეთელი იყო. მას ძალიან მოსწონდა ვარინკას სიმღერა. პოეტმა ახალგაზრდა ქალს „მაისის ბულბული“ შეარქვა.

აკაკი წერეთლის ლექსი „სულიკო“ პირველად 1895 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „კვალში“. ერთხელაც, ვარინკა წერეთელმა, აკაკის თხოვნით, გიტარაზე წაიღიღინა „სულიკოს“ მელოდია და მას შემდეგ ამ სიმღერას დიდი გზის გავლა და უზომო პოპულარობა დაეწერა.

1898 წელს ინგლისურმა ფირმა „ფონოგრაფმა“ ვარინკას ნამღერი პირველად ჩაწერა ცვილის ლილვაკებზე ვანო მაჩაბლის სახლში, ხოლო მეორედ - პლატონ ლეჟავას ოჯახში. ასე შემოგვრჩა უნიკალური ჩანაწერი, რომელიც დღემდე აკვირვებს მსმენელს.

მოხსენების მიზანია სიმღერა „სულიკოს“ შექმნისა და მის ავტორთან დაკავშირებული პრობლემების კიდევ ერთხელ გახსენება და საარქივო დოკუმენტების ჭრილში მისი განხილვა.

იორდანე გოცაძე
(პირად ფონდში დაცული მასალის მიხედვით)

ინგა ჭიღლაშვილი
ზესტაფონის რეგიონული არქივი

ზესტაფონის რეგიონულ არქივში დაცულია სამი მუნიციპალიტეტის - ზესტაფონის ხარაგაულისა და თერჯოლის საარქივო დოკუმენტები 1921 წლიდან 2020 წლის ჩათვლით. არქივში დაცული მასალები, როგორც შინაარსობრივად, ასევე თემატურად მრავალფეროვანია. დაცვაზეა სამივე რაიონის ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების, სასწავლო დაწესებულებების, ფაბრიკა-ქარხნების, კულტურის დაწესებულებების, საპროექტო დაწესებულებების მრავალი დოკუმენტი. აქ დაცული ფონდებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შოროპნის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის 1921-1929 წლების საარქივო მასალა, ფოტოდოკუმენტები, განსაკუთრებით კი გამოჩენილ ადამიანთა (მეცნიერების, ექიმების, პედაგოგების და სხვათა) პირადი ფონდები.

მიმდინარე სამეცნიერო-საინფორმაციო კონფერენციაზე წარმოვადგენთ ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის - იორდანე გოცაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ საარქივო დოკუმენტებს. იორდანე გოცაძემ საკმაოდ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო ზესტაფონის ერთ-ერთი პატარა სოფლიდან ჯერ ტარტუს, ხოლო შემდეგ ბერლინის და ციურიხის უნივერსიტეტებამდე. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ის უშურველად ემსახურა საკუთარ ქალაქს როგორც ექიმი და დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა თაობის განათლებისა და განვითარების საქმეში.

ვლადიმერ ახმეტელი (შვარცი)

თინათინ კალმახელიძე
საისტორიო ც/არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფისა და აღრიცხვის
განყოფილების უფროსი

ქართველი ჟურნალისტი, ეკონომისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს საქართველოს ელჩი გერმანიაში ვლადიმერ ახმეტელი (ახმეტელაშვილი) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პიროვნება იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოღვაწე მეცნიერებისათვის არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი, პირველწყაროების გადახედვამ და საარქივო მასალის ჭრილში ამ პიროვნების განხილვამ გარკვეული სიახლეების წარმოდგენის საშუალება მოგვცა.

სწორედ ამ საარქივო მასალის საფუძველზე იქნება კიდევ ერთხელ წარმოჩენილი ვლადიმერ ახმეტელის ბიოგრაფია.

ვლადიმერ ახმეტელი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა და აღარ დაბრუნებულა სამშობლოში, თუმცა კავშირი არ გაუწყვეტია საქართველოსთან სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ის გარდაიცვალა 1942 წელს ბერლინში და იქვეა დაკრძალული.

გიორგი ჯაშიაშვილის პირადი ფონდი

თეა გიგაური
კახეთის რეგიონული არქივის უფროსი სპეციალისტი

XX საუკუნის შუა წლებში თელავის რეკონსტრუქციის საკითხი მძაფრად იდგა. დაგეგმილი სამუშაოების საფუძველზე ქალაქმა მთლიანად იცვალა სახე (აეწყო ახალი ინფრასტრუქტურა, გაფართოვდა ქუჩები, აშენდა ახალი შენობები, დაიდგა ერეკლე II-ის ძეგლი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ისტორიულ შენობებს ...). ცვლილებები შეეხო ყველა ცენტრალურ უბანსა და ქუჩას. მიმდინარე სამუშაოებს ხელმძღვანელობდა თელავის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ჯაშიაშვილი. რამდენიმე ათეული წელი გავიდა ქალაქის რეკონსტრუქციიდან და უამრავი მხოლოდ დაგეგმილი თუ შესრულებული საქმე დავიწყებას მიეცა. კახეთის რეგიონულ არქივში დაცულია გიორგი ჯაშიაშვილის ფასდაუდებელი პირადი ფონდი, რომელშიც წერილობით დოკუმენტებთან ერთად უხვად არის დაცული ამ ცვლილებების ამსახველი მდიდარი ფოტომასალა.

ჩემი მოხსენების თემა გიორგი ჯაშიაშვილის არქივის დაწვრილებითი მიმოხილვაა.

გაბრიელ (გერასიმე) მაქსიმეს ძე ქიქოძე
(პირადი ფონდის მიმოხილვა)

მაკა კირვალიძე
საისტორიო ც/არქივის ძველ საბუთთა განყოფილების სპეციალისტი

ეროვნულ არქივში დაცულია XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მოღვაწის, იმერეთის ეპისკოპოსის - წმინდა გაბრიელის (ქიქოძე) პირადი არქივი.

იმერეთის ეპისკოპოსი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის დაუცხრომელი მოღვაწე და უამრავი სხვა საქმის მოთავე, ქართულ საზოგადოებაში დღემდე განსაკუთრებულ მოწიწებასა და მადლიერების განცდას იწვევს. 1995 წელს ის საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა.

წინამდებარე მოხსენების მიზანი ამ დიდი მოღვაწის პირადი არქივის მიმოხილვაა და იმ აქცენტების გაკეთება, რომლებიც მისი პიროვნების საინტერესო სურათის წარმოდგენაში დაგვეხმარება.

ფონდის მიმოხილვის ჭრილში წარმოდგენილი იქნება თავად ეპისკოპოს გაბრიელის ბიოგრაფია, პრეზენტაციაზე კი - საინტერესო დოკუმენტები, დაცული მის პირად ფონდში.

სამეგრელოს რეგიონული არქივი

მილენა თორია
სამეგრელოს რეგიონული არქივის დირექტორი

სამეგრელოს რეგიონულ არქივში დაცული დოკუმენტები ასახავს ზუგდიდის, აბაშის, მარტვილის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკის, ხობისა და, ზოგადად, სამეგრელოს რეგიონის კულტურულ, ეკონომიკურ თუ ისტორიულ ცხოვრებას. დოკუმენტების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი 1920-იანი წლებია.

საარქივო ფონდები მრავალფეროვანია და ხშირად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამა თუ იმ მოვლენის ისტორიულ კონტექსტში გასაშლელად.

წინამდებარე მოხსენება ამ არქივის პრეზენტაციას ისახავს მიზნად. ამიტომ მოკლედ იქნება წარმოდგენილი არქივის ისტორია, სტატისტიკური მონაცემები, განსაკუთრებული მნიშვნელობის ფონდები და ცალკეული დოკუმენტები, დოკუმენტებით მოთხრობილი საინტერესო თემები (საბჭოთა არჩევნები, ეკლესია-მონასტრები, თვითმმართველობა, სკოლები და ა. შ.).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული არქივი

ცისანა ნარიმანიძე
სამცხე-ჯავახეთის რეგიონული არქივის დირექტორი

ისტორიული კუთხე სამცხე-ჯავახეთი საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი ქართული კულტურისა და განათლების მძლავრ კერას წარმოადგენდა, რომლის დასტურია მდიდარი არქეოლოგიური მასალა, წერილობითი წყაროები და ისტორიული ძეგლები.

1924 წლის პირველ ივლისს მესხეთში, მუზეუმის ბაზაზე, საფუძველი ჩაეყარა ახალციხის სამაზრო საარქივო ბიუროს. თავდაპირველად, საარქივო ფონდები მოიცავდა მეფის რუსეთის დროინდელ, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის, სხვადასხვა დაწესებულების საწყობებში მოთავსებულ და მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ და გადარჩენილ საარქივო მასალას. ეს ყველაფერი სისტემატიურად ირჩეოდა, გროვდებოდა და ლაგდებოდა მუზეუმის შენობაში, ვინაიდან საარქივო ბიუროს საკუთარი ბინა არ ჰქონდა და ხშირად იცვლიდა ადგილს, რამაც ამ ფონდების ნაწილის დაფანტვა, დაზიანება და დაკარგვაც კი გამოიწვია.

არქივის ბიუროს პირველ გამგედ დაინიშნა ცნობილი მესხი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე გვარამაძე. მცირე ხანში საარქივო ბიურო ახალციხის არქივი გახდა. 1926 წელს ახალციხის არქივმა, სარაიონო სახელმწიფო არქივის სახელწოდება მიიღო, ხოლო 1930 წლიდან კი იწოდებოდა რაიონულ საარქივო ბიუროდ.

XX საუკუნის 60-იან წლებში გამოიყო ტერიტორია არქივისათვის შესაფერისი ტიპიური შენობის ასაშენებლად და ზუსტად 1968 წელს თითქმის ნახევარსაუკუნოვანი „მოგზაურობის“ შემდეგ, სამუდამოდ დაიდო ბინა ახალ შენობაში.

XXI საუკუნეში განხორციელდა არსებული შენობის რეკონსტრუქცია და აშენდა სამსართულიანი საცავი. ამჯერად აქ თავი მოიყარა სამცხე-ჯავახეთის ექვსი რაიონის (ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, ახალქალაქის და ნინოწმინდის) დოკუმენტებმა და დღეისათვის სამცხე-ჯავახეთის არქივში დაცული ფონდები უმნიშვნელოვანესი წყაროა რეგიონის ისტორიის შესასწავლად.

წინამდებარე მოხსენებაში საუბარი მექნება როგორც არქივის ისტორიაზე, ისე მასში დაცულ ფონდებზე.

კასპის რაიონის ტაძრები და ღირსშესანიშნაობები

მარინე გოგებაშვილი
კასპის ადგილობრივი არქივის დირექტორი

კასპის რაიონი მდიდარია ხუროთმოძღვრული ძეგლებით. კულტურის ძეგლთა რაოდენობის გამო მას ისტორიკოსები უწოდებენ მუზეუმს ღია ცის ქვეშ.

მოხსენებაში ვისაუბრებ კასპის ადგილობრივი არქივის ფონდებში დაცული ფოტოდოკუმენტების შესახებ, რომლებზეც V, VI, XI, XII, XIII, XIV საუკუნეებში აგებული ტაძრები და სხვა ისტორიული ძეგლებია წარმოდგენილი. ხშირად ესა თუ ის ძეგლი რესტავრაციამდელ სურათს უჩვენებს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მის შინაარსს.

ფოთის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი
(ფოთის ადგილობრივ არქივში დაცული მასალის მიხედვით)

ქეთევან ეფრემიძე
ფოთის ადგილობრივი არქივის დირექტორი

დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ სატაძრო კომპლექსს, ფოთის საკათედრო ტაძარს, გამორჩეული ადგილი უჭირავს XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ღვაწლმოსილი ნიკო ნიკოლაძის მიერ წამოწყებული და დაგვირგვინებული საქმე დღემდე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამეცნიერო წრეებსა თუ ფართო საზოგადოებაში.
წინამდებარე მოხსენებაში მოკლედ იქნება განხილული ამ ტაძართან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა და ძირითადი აქცენტი გაკეთდება იმ საარქივო მასალაზე, რომელიც ფოთის ადგილობრივ არქივშია დაცული. კერძოდ წარმოდგენილი იქნება:

- ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ფოთში, მისი შემოქმედების გვირგვინი - ფოთის საკათედრო ტაძარი;
- საკათედრო ტაძრის მშენებლობა ახალი ტექნოლოგიით;

ტაძრის ისტორია საბჭოთა პერიოდში:

- ბრძოლა ტაძრის დანიშნულებისამებრ შენარჩუნებისთვის (სამრევლოს დაარსება, მიმოწერა ქალაქის საბჭოსთან, შევიწროვება, ღვთისმსახურების შეწყვეტა, მანგლელი მიტროპოლიტის - კალისტრატეს (ცინცაძე) როლი ტაძრის დაბრუნებისთვის ბრძოლაში, თეატრი ტაძრის შენობაში და ა. შ.)

- **ტაძარი თავისუფალ საქართველოში**

ფოთის მართლმადიდებელი მრევლის საუკუნოვანი ოცნების აღსრულება და ისტორიული შენობის კანონიერ მესაკუთრეზე დაბრუნება.

ბერძენ სასულიერო პირთა
მოღვაწეობა საქართველოში და მათი ბედი „დიდი ტერორის“ დროს

ნინო ბადაშვილი
სამეცნიერო განყოფილების მთავარი სპეციალისტი

XIX საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად საქართველოში სხვადასხვა დროს ბერძნების დიდი ჯგუფები იქნა ჩამოსახლებული, რომლებსაც საზოგადოება პონტოელ ბერძნებად იცნობს. ძირითადად, მათი სარწმუნოება მართლმადიდებლობა იყო. საქართველოში ჩამოსახლებისთანავე ბერძნებმა დაიწყეს საკუთარი კულტურული სივრცის შექმნა: ბერძნული საზოგადოებების შექმნა, ეკლესიების მშენებლობა, სკოლების გახსნა და ა. შ.

წინამდებარე მოხსენების მთავარი თემაა საქართველოში დამკვიდრებული ბერძნების ბედი დიდი ტერორის პერიოდში. ყველასთვის ცნობილია, რომ ამ დროს დევნის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე სწორედ სასულიერო პირები იყვნენ, რის შედეგადაც ათასობით უდანაშაულო ანაფორიან ადამიანს დევნიდნენ, ხვრეტდნენ, აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ. არაერთი პონტოელი ბერძენი არქიმანდრიტი, რიგითი მღვდელი თუ მედავითნე გახდა ბოლშევიკური რეჟიმის მსხვერპლი. მართალია, გასაგები მიზეზების გამო მათ შესახებ მხოლოდ მწირმა ინფორმაციამ მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ პატარ-პატარა თხრობებად შეკრულმა მასალამ საბოლოოდ დიდი ისტორია შექმნა, რომელმაც ბოლშევიკური ტერორის მოზაიკა დიდწილად შეავსო. საყურადღებოა, რომ საარქივო მასალა ხშირად მოგვითხრობს როგორც რეპრესირებული პონტოელი ბერძენი სასულიერო პირების, ისე მათ დასაცავად გამოსული მრევლის სამაგალითოდ დასჯის შესახებ.

კვლევის აქტუალობას უპირველესად განაპირობებს ის ფაქტორი, რომ ბერძენ რეპრესირებულ სასულიერო პირთა შესახებ მასალები ძალზედ მცირედ არის გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

ჩემს მიერ მოძიებული მრავალი ცნობა სრულიად ახალი და უცნობია და, ვფიქრობ, საინტერესო და სასარგებლო იქნება ბევრი ოჯახისთვის, მკითხველთა ფართო წრისა და ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერთათვის.

ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში დაცული მიმოწერა

თეა ქათამაძე
ქუთაისის ცენტრალური არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის განყოფილების უფროსი

ქუთაისის ცენტრალური არქივი გამორჩეულად არის მდიდარი საარქივო მასალით. წინამდებარე მოხსენების თემაა მიხეილის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ფონდში დაცული მიმოწერა.

ეს ის ბანკია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სამეურნეო–ეკონომიკური განვითარების საქმეში. ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დაარსების ისტორია 1866 წლიდან იწყება. მასში მთელი დასავლეთ საქართველოს ინტელიგენცია იყო ჩართული. მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ადევნებდა თვალს ილია ჭავჭავაძე. 1873 წელს უკვე შედგენილი იყო ბანკის პროექტი ნიკოლოზ ღოღობერიძის მიერ. ბანკი ოფიციალურად გაიხსნა 1876 წლის პირველ მაისს, მას ხელმძღვანელობდა გამგეობა, რომლის პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბესარიონ ღოღობერიძე. აღნიშნულმა ბანკმა 1921 წლამდე იარსება. ფონდში დაცულია დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ აღნიშნული დაწესებულების საქმიანობას, ბანკის ურთიერთობებს სხვადასხვა პირთან, თუ ორგანიზაციასთან, ბანკის საქველმოქმედო მოღვაწეობას, მემამულეებისათვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი იპოთეკური სესხების მიცემას.

იმ მიმოწერიდან, რომელიც ამ ფონდშია დაცული, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რა დიდი საქმის გაკეთება შეეძლო ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკს და იმ დიდი ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი ცხოვრების მთავარ მისიად ეროვნული საგანძურის გადარჩენა, მომავალი თაობების სწორად აღზრდა და ქვეყნის გაძლიერება მიაჩნდათ.

1920 წლის მიწისძვრა და მისი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები

თინათინ სააკაშვილი
გორის ადგილობრივი არქივის დირექტორი

გორის ადგილობრივ არქივს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართლისა და ზოგადად აღმოსავლეთ საქართველოს შესწავლის საკითხში. დაწესებულებათა და პირადი საარქივო ფონდები, თუ მდიდარი ფოტომასალა, რომლებიც ამ არქივშია დაცული, დიდწილად შეუსწავლელია.

ჩემი მოხსენების თემა გორის 1920 წლის მიწისძვრის შედეგებს შეეხება. დამანგრეველი მიწისძვრა, რომლის დროსაც, ჩვენამდე მოსული ინფორმაციით, 114 ადამიანი დაიღუპა, ხოლო დაშავებულების რიცხვი რამდენიმე ათასი იყო, დღემდე შესწავლის საგანია. მერკალის სკალით 8-9 ბალიანმა მიწისძვრამ გაანადგურა გორის ისტორიული ძეგლები, საცხოვრებელი სახლები, ზოგადად ინფრასტრუქტურა. მიწისძვრით გამოწვეული შედეგები, რომლებიც უამრავ პრობლემას გულისხმობდა, კარგად აისახა ოფიციალურ დოკუმენტებში, ფოტომასალაში, კერძო მიმოწერებში თუ ცალკეული პირების მოგონებებში.

მოხსენებაში ვისაუბრებ მიწისძვრის შედეგების აღმოფხვრისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე გორის არქივში დაცული მასალების მიხედვით, მიწისძვრის გავლენის შესახებ ქალაქის ინფრასტრუქტურასა და მოსახლეობაზე, მწვავე სოციალურ ფონზე, ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების რეაგირებაზე და ა. შ.

ცალკეული შენობა-ნაგებობების თუ ინფრასტრუქტურის და ზოგადად ქალაქის იერსახის შეცვლის საკითხების შესასწავლად გორში დაცულ დოკუმენტებს განსაკუთრებული ღირებულება აქვს. მით უფრო, რომ ეს დოკუმენტები ჯერ სამეცნიერო მიმოქცევაში შესული არ არის.

მასალები ქუთაისის გუბერნიაში მე-19 საუკუნის 60-70 იან წლებში არსებული არქივების ისტორიისათვის

მერაბ კეზევაძე
ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი

1846 წელს დასავლეთ საქართველოში შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული ერთეული - ქუთაისის გუბერნია, რომელმაც თავდაპირველად ყოფილი იმერეთის სამეფოს ტერიტორია მოიცვა, მოგვიანებით კი, გარკვეული წლების განმავლობაში - მთელი დასავლეთ საქართველო. გუბერნიის ადმინისტრაციული ცენტრი გახლდათ ქალაქი ქუთაისი, რომელიც ყოველთვის დატვირთული იყო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსით, რამაც ქუთაისის დიდი საარქივო ცენტრის ფუნქციაც განაპირობა.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს სამეფო სასახლეებსა და სამონასტრო-საეკლესიო ცენტრებში დაცული დოკუმენტები თანდათანობით სახელმწიფო არქივებში ინაცვლებენ ადგილს დასაცავად. ქუთაისის საგუბერნიო ცენტრად გამოცხადებისთანავე, საგუბერნიო მმართველობასთან დაარსებული იქნა არქივი, რომელშიც გუბერნიის ტერიტორიაზე დაცული დოკუმენტების თავმოყრა დაიწყო. ამასთანავე, გუბერნიის ყველა სამაზრო ადმინისტრაციულ ცენტრში არსებობდა სამაზრო არქივები. სწორედ ამ არქივების შესახებაა მოხსენებაში მოთხრობილი.

მოხსენებაში სხვადასხვა წლებში (1866, 1868, 1873, 1874) ქუთაისის საგუბერნიო არქივის მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტებთან ერთად, წარმოდგენილია მასალები შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, რაჭის, ლეჩხუმის, ოზურგეთის სამაზრო არქივების შესახებ 1873 წლის მდგომარეობით. არქივების შენობების აღწერასთან ერთად მასალები სრულ სურათს იძლევა მათში დაცული დოკუმენტების თემატიკაზე, დაცვის პირობებსა და სტატისტიკაზე. მაგალითისთვის მოვიყვან რამდენიმე ფაქტს: 1869 წლიდან ქუთაისის საგუბერნიო არქივი ორ დამოუკიდებელ შენობაში - საგუბერნიო სამმართველოსა და კერძო პირისაგან დაქირავებულ სახლში იყო მოთავსებული. 1865 წელს საგუბერნიო არქივში ინახებოდა 230 000 საქმე, 1873 წელს კი - 390 760. ყველა სამაზრო არქივები მოთავსებული იყო ნაქირავებ შენობებში. სამაზრო არქივებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით საარქივო საქმეები დაცული იყო ოზურგეთის არქივში - 20 000 მდე საქმე. ლეჩხუმის სამაზრო არქივი კი 1865 წელს მომხდარი ხანძრის შედეგად მთლიანად განადგურებული იყო.

ვფიქრობ, აღნიშნული მასალა დახმარებას გაუწევს დასავლეთ საქართველოს რეგიონული არქივების ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

რელიგიური საზოგადოების რეგისტრაცია და ეკლესიების გახსნა ლეჩხუმის მაზრაში 1925 წელს

ქეთევან გაბიძაშვილი
ქუთაისის ცენტრალური არქივის განყოფილების უფროსი

1921 წელს საქართველოში ოკუპაციის შედეგად მოსულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ თავიდანვე განაცხადა უკომპრომისო ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. 1923 წლის დასაწყისიდან საქართველოში მასობრივად იწყება ეკლესია-მონასტრების დახურვა და ნგრევა.

1924 წლის, 21 ნოემბერს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მიიღო დეკრეტი "რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის შესახებ", რითიც გაუქმდა ყველა მოქმედი დადგენილება, ინსტრუქცია და ადმინისტრაციული განკარგულება, რომელიც საქართველოს სსრ მოქალაქეთა მიერ რელიგიური მსახურების თავისუფალ აღსრულებას ზღუდავდა. ახალი დადგენილებით მათ უფლება ეძლეოდათ მიეღოთ ტაძრები, სამლოცველო სახლები, ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ქონება, ადგილობრივ ხელისუფლებას კი ამ ყველაფრის როგორც რეგისტრაცია, ისე სხვადასხვა მიზეზით უარის თქმა შეეძლო.

1917 წლის 11 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი საეკლესიო კრების მიერ ახლადშექმნილ 13 ეპარქიას შორის, ერთ-ერთი ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის ეპარქია იყო, რომლის სამწყსო ლეჩხუმს, ასევე ზემო და ქვემო სვანეთს აერთიანებდა. XX საუკუნის 20-იან წლებში დაწყებული რეპრესიების გამო, ეპარქიის აღდგენის მიუხედავად, ცაგერისა და სვანეთის ეპარქიას 70 წლის განმავლობაში საკუთარი მღვდელმთავარი თითქმის არ ჰყოლია. სამწყსოს შეთავსებით ხან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უფრო ხშირად ქუთათელი და ქუთათელ-გაენათელი (1927 წლიდან) მღვდელმთავრები მართავდნენ.

1925 წელს ლეჩხუმის მაზრის 75 სოფლიდან (იანვარიდან აპრილის ჩათვლით), 21 სოფელში გაიხსნა ეკლესია (სულ მალე ისინი ისევ დახურეს). აღნიშნული პროცესის ამსახველი დოკუმენტები ერთ საქმედაა დაცული ქუთაისის ცენტრალურ არქივში (რაჭის სამაზრო აღმასკომის ფონდი №125, ანაწერი 1, საქმე 10). საქმეში ინახება სხვადასხვა სოფლის რელიგიური საზოგადოების წევრების განცხადებები ეკლესიის გახსნისა და მღვდელმოქმედების აღდგენის შესახებ, თანდართული ოქმებით, ხელშეკრულებებით და აქტებით. საქმეშია, ასევე, ეკლესიათა უმეტესობის კრებულის წევრთა სიები და საეკლესიო განძეულობის აღწერილობები.

აღნიშნული დოკუმენტები მრავალმხრივ საინტერესოა, როგორც იმდროინდელი ხელისუფლების რელიგიისადმი დამოკიდებულების კიდევ ერთხელ გადასახედად, ისე ღვთისმსახურთა ბიოგრაფიებისა და გადარჩენილი საეკლესიო განძეულობის შესასწავლად.

რეკლამები ქართულ პრესაში

თამარ ბჟალავა
სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკის უფროსი

ეროვნული არქივის სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა მდიდარია ქართულენოვანი პერიოდული გამოცემებით. 617 დასახელების ქართულენოვანი გაზეთი და 582 დასახელების ჟურნალია დაცული ჩვენს ფონდში.

თავდაპირველად, რეკლამები მარტივი ტექსტის სახით იყო წარმოდგენილი, თუმცა დროთა განმავლობაში აქცენტები მკვეთრად გაკეთდა მათ ვიზუალურ მხარეზე და ამგვარად გამოხატულ შინაარსობრივ მრავალფეროვნებას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა. XX საუკუნის დასაწყისში პრესაში დაბეჭდილმა რეკლამებმა ფორმა იცვალა. გაჩნდა დეკორატიული ჩარჩოები, ორნამენტები და მხატვრული შრიფტები, რაც მკითხველის ყურადღებას მაშინვე იპყრობდა.

ჩემი მოხსენების მიზანია მრავალმხრივ ფორმასა და შინაარსში გაბნეული ცალკეული ადამიანების თუ მთელი სოციალური წრეების ინტერესების წარმოდგენა ამ ე. წ. სარეკლამო განცხადებების შესწავლის საფუძველზე. გლეხების, მასწავლებლების, ბანკების თანამშრომლების, ვაჭრების, სასულიერო პირებისა და სხვათა განაცხადები თან საოცრად საინტერესო და ხშირად დღეისათვის უცნაურ განცხადებებს მოიაზრებს, ხოლო ილუსტრირება ამ განცხადებებისა ესთეტიკურად დახვეწილ ფორმას გვთავაზობს.

მსმენელებს შევთავაზებთ სხვადასხვა დროს ქართულ პრესაში გავრცელებულ ცალკეულ მაგალითებს ამგვარი განაცხადებისა.

ქვემო ქართლის რეგიონული არქივი

ბაჩუკი ჩიტორელიძე
ქვემო ქართლის რეგიონული არქივის დირექტორი

ისტორიის შესწავლა შეუძლებელია საარქივო მასალების გარეშე. ქვემო ქართლის რეგიონული არქივი სწორედ ის ადგილია, სადაც რეგიონის წარსული ცოცხლდება. არქივში დაცული დოკუმენტების მრავალფეროვნება გვაძლევს შესაძლებლობას უკეთ გავიცნოთ ქვემო ქართლის ისტორია და კულტურა. აქ დაცული დოკუმენტები ნათლად ასახავს რეგიონის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას სხვადასხვა პერიოდში. არქივი უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი დოკუმენტების დაცვასა და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ქვემო ქართლის რეგიონული არქივის პრეზენტაცია. ყურადღება გამახვილდება სტატისტიკურ მონაცემებზე, ძირითად არქივებზე, განსაკუთრებული ღირებულების მასალაზე და ქვემო ქართლის არქივისთვის დამახასიათებელ გარკვეულ თავისებურებებზე.

ეროვნულ არქივში დაცული ერთი საქმე ჩრდილოეთ კავკასიიდან განძის დაბრუნების შესახებ

მარიტა ელიზბარაშვილი
ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების სპეციალისტი

1915 წელს ოსმალეთის შემოსევის საფრთხის გამო თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიისკენ გაემართა არქივებითა და სამუზეუმო კოლექციებით დატვირთული ათეულობით ვაგონი. 1923 წელს ამ ქონების მხოლოდ ნაწილის დაბრუნება მოხერხდა საქართველოში. დაბრუნებულ მასალას შორის იყო ე. წ. „დიდების ტაძრის“ კოლექციებიც.

მოხსენებაში განხილული იქნება სამხედრო-ისტორიული მუზეუმის („დიდების ტაძრის“) კოლექციის ბედი ეროვნულ არქივში დაცული ერთი კონკრეტული საქმის მიხედვით, რაც მიზნად ისახავს აჩვენოს, რა პროცესები ახლდა კოლექციის საქართველოდან გატანას, დაბრუნებასა და შემდგომ გადანაწილებას შესაბამის დაწესებულებებში.

საქმეში კარგად არის წარმოჩენილი განძის მდგომარეობა, მისი აღწერის პროცესი, დახარისხება და განაწილება საქართველოს მუზეუმებში, ეროვნულ გალერეასა და ცენტრალურ არქივს შორის.

მოხსენებაში ასევე გამახვილებული იქნება ყურადღება იმ კონკრეტულ პროცესებზე, რომლებსაც ჰქონდა ადგილი განძის დაბინავების შემდეგ.

„დიდების ტაძრის“ კოლექციის ისტორია მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გადაადგილებისა და დაბრუნების საკითხების კვლევისათვის და ნათლად ასახავს, თუ რამდენად რთული იყო ეროვნული საგანძურის შენარჩუნება XX საუკუნის პოლიტიკური და ისტორიული პროცესების ფონზე.

ეროვნული არქივის სარესტავრაციო ლაბორატორია - 80 წლიანი მუშაობის შედეგი

თამილა აფაქიძე
დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების
ლაბორატორიის უფროსი

საქართველოს ეროვნული არქივი დაარსდა 1920 წლის 23 აპრილს, ხოლო 1944 წელს, საარქივო სამმართველოსთან შეიქმნა ქიმიური ლაბორატორია, რომელიც შემდგომში, 1957 წელს, გარდაიქმნა დოკუმენტური მასალების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიად.

2024 წელს საქართველოს ეროვნული არქივის სარესტავრაციო ლაბორატორია 80 წლის გახდა. რვა ათეული წლის მანძილზე, ლაბორატორიაში უამრავ ხელნაწერს, საარქივო დოკუმენტსა თუ ფოტომასალას მიეცა ახალი სიცოცხლე. რესტავრატორების მთელი თაობების უანგარო შრომის შედეგად ქაღალდზე, ეტრატზე, ფოტო-ქაღალდზე დატანილი ტექსტები თუ გამოსახულებები მომავალი თაობებისთვის შემონახულია და მხოლოდ შესწავლას მოითხოვს. მოხსენების მიზანია, განვლილი გზის ერთგვარი გაცოცხლება და შესრულებული სამუშაოების შეფასება.

რესტავრატორი ასრულებს სხვადასხვა სამუშაოს: ქიმიური რეაქტივების საშუალებით ახდენს დოკუმენტის ზედაპირის გაწმენდას (დეზინფექციას); ფურცლის ბიო-ფიზიკურად დაზიანებული და ნაკლული ადგილების შევსებას შესაბამისი სარესტავრაციო ქაღალდით; რესტავრირებული ფურცლების აკინძვას და ყდაში ჩასმას. ყველა ის ტექნიკური საშუალება, რაც დოკუმენტების რესტავრაციისას გამოიყენება, აპრობირებულია საერთაშორისო სტანდარტებით, იცავს დოკუმენტს და ზრდის მისი შენახვის ხანგრძლივობას.